სამშაბათი, 7 სეკდემბერი, 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904

სამშაბათი, 7 სეკდემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 207 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 207

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа".

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაფი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები	15 კაპ.
რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(40—28).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანხმად ქალაქის საბჭოს ამ წლის 28 ივნისის დადგენილებისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა, დასაფასებელ გარდასახადის მთელი ჯამი ამ მიმდინარე ნახევარ წლისა გადიდებულ იქმნა $^1/_4\%$-ით ამ 1905 წლის 1-ლ ივლისიდგან (მთელის წლის ანგარიშზედ $^1/_2\%$-ით); ეს დამატებულ იქმნას მიდინარე წლის ოკდომბრის განმავლობაში, ჯარიმის შეურიცხველად.

(2—1).

სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟნობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის" გვერდზე.

ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—5).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—5).

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) თხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტატიშლაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ზრ. მ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. გეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴსდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8

ტელეფონი № 274

(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. მ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მ. ხოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

მ. ს. ელში. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7$^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—ლორის-მელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

რამდენი ჯარი ეყოლება რუსეთსა და იაპონიას ომის ველზე ერთის წლის შემდეგ.—რამდენი ჯარი ჰყავდათ ორთავ მხარეს ლიაოიანთან.—ინგლისის განკარგულება ნეიტრალიტეტის დასაცველად.—7 რუსის გმირობა.

სამხედრო მიმომხილველნი და სამხედროების სპეციალურ გაზეთებშიაც-კი დარწმუნებით ამბობენ, ვითომც იაპონიას შეეძლოს მთელი მილიონი მეომარი გადიყვანოს ომის ველზე. ეს რომ მართალი იყოს, რუსებს ომი წაგებულად უნდა მიაჩნდეთ და შეუდგნენ არა თუ მანჯურიისა, არამედ აღმოსავლეთ-ციმბირის დაცლასაც.

მას აქედ, რაც ომი დაიწყო, შვიდს თვეში რუსებმა გადიყვანეს ბაიკალის ტბის იქით მხოლოდ ხუთი კორპუსი, ოთხი დივიზია კავალერიისა და რამდენიმე კიდევ რაზმები შესავსებად აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიებისა. სულ გაიგზავნა 240,000 კაცი, რაც თვეში შეადგენს 35,000 კაცს. თუ გვინდა ომი გათავდეს მომავალ წლის შემოდგომას, ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვგზავნოთ ჯარი. ხოლო ერთის წლის განმავლობაში შეგვიძლიან გადვიყვანოთ მხოლოდ 420,000 კაცი (35,000+12). ამ რიგად ჩვენ მერმის ამ დროს გვეყოლება შორეულ-აღმოსავლეთში არა უმეტეს 700—800,000 კაცისა. მართალია, ბაიკალის ტბის ნაპირს რკინის გზა მალე დამთავრდება და ჯარის გადაყვანა გაადვილდება, მაგრამ სურსათის გადატანასაც ერთიორად უნდა გაძლიერება. ამას გარდა, დაჭრილ და დასნეულებულ ჯარის კაცების გადაყვან-გადმოყვანა და დანაკლისის შევსებაც რკინის გზას დაამძიმებს.

იაპონიას-კი უფრო მალე და ადვილად შეუძლიან თავის ჯარის გადმოყვანა ზღვით. ამ წარსულ ექვს თქვეში იაპონიამ 460,000 მეომარი გადმოიყვანა ომის ველზე, ე. ი. ერთი-ორად იმაზედ მეტი, რაც რუსეთმა ბაიკალს იქით გადაააცილა. მაშასადამე, მომავალ წლის მაისამდე, ე. ი. რვა თვეს, იაპონიას მართლა ერთი მილიონი ჯარი ეყოლებოდა მანჯურიაში, თუ რომ სხვა არაფერმა დააბრკოლა; ჩვენ კი მხოლოდ 600—600,000 მეომარი. ეს რომ ესე მოხდეს, რა თქმა უნდა, იაპონელების სარდალი გაიმარჯვეს და ომსაც მოიგებს.

მაგრამ საქმე ასე როდია. არა საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იაპონიას შეეძლოს ერთის მილიონის ჯარის გადმოყვანა მანჯურიაში. იაპონიის მუდმივი და სათადარიგო ჯარი 700,000 კაცს არ აღემატება. აქედგან შეიძლება ხმელეთზე გადმოჰყაროს მხოლოდ 600,000 კაცი. თუმცა წელს 200,000 ახალგაზდას გამოიწვევენ სამხედრო ბეგარაზე, მაგრამ ახალგაზდები ისე მალე ვერ შეემზადებიან, რომ გაწვრთნილ ჯარის მაგივრობა შესძლონ და ამასთან ბევრი მათგანი ეხლანდელ ჯარის დანაკლისის შესავსებად უნდა იყოლიონ. თუ ამას გარდა კიდევ მოინდომეს იაპონელებმა ჯარის მოქურჩება და, როგორც ეხლა იუწყებიან, საერო გვარდიის შეგროვება,—ეს ჯარები მეტი ბარგი იქმნება და შესაფერ სამსახურს კი ვერ გაუწევენ.

აგ რიგად მომავალი ჩვენთვის საკეთილო უნდა იყოს, თუ რომ ვეცადეთ და იმდონი ჯარი ვგზავნეთ შორეულ აღმოსავლეთში, რავდენის გადაყვანაც კი შეუძლიან ციმბირის რკინის გზას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენთვის ეხლა ყოველივე ცხადია ომის ველზე და წინანდელ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

(რ. ვ.).

იაპონიის საელჩოს მდივანს ნაგაოკას უთქვამს, ლიაოიანის ომში იაპონელებს

მხოლოდ 160,000 მეომარი, ჰყავდა, რუსებს-კი 200,000 იო.

გაზეთ «ექოდე პარიჟს» ეს შეუძლებლად მიაჩნია.

რუსებს მანჯურიაში ჰყავთ 275,000 მეომარი. ამათგან 60,000 კაცი რკინის გზის დარაჯად არის დაყენებული. დარჩა 215,000 კაცი. აქედგანაც უნდა გამოვაკლოთ დაჭრილ-ავადმყოფნი, რაც 20% შეადგენს, მაშასადამე, ლიაოიანთან გენერალ კუროპატკინს ეყოლებოდა მხოლოდ 170,000 მეომარი 600 ზარბაზნით.

იაპონელებს კი ომის დასაწყისშივე ჰყავდათ მუდმივი ჯარი, რომელშიაც 340,000 კაცი ითვლებოდა. სათადარიგო და სადარაჯო ჯარით ამ ჯარს ექმნებოდა 1,368 ზარბაზანი. აქედგან პორტ-არტურთან დაბანდებულია 90,000 მეომარი.

იაპონელების მუდმივ ჯარში კი, ომი რომ დაიწყო, 340,000 მეომარი ითვლებოდა. ამას რომ სათადარიგო და სადარაჯო ჯარებიც დაემატოს, სულ იაპონიას ეყოლება 520,000 კაცი, 1,368 ზარბაზნით. პორტ-არტურთან დაბანდებულია 90,000 მეომარი. ეს რომ 340,000-ს გამოვაკლოთ დარჩება 250,000 აქედგანაც 20% დაჭრილ-ავადმყოფი ვიანგარიშოთ. მაშასადამე იაპონელებს მანჯურიაში უნდა ჰყავდეთ 200,000 მეომარი.

ეს ანგირიში სწორე უნდა იყოსო,—ამბობს გაზეთი,—ან რა საფიქრებელია, რომ 160,000 იაპონელს გაებედნოს ბრძოლა 200,000 კაცთან და გამაგრებულ ზანაკის გარშემორტყმაც სდომებოდესო (ნოვოსტი).

—

«ლოკალ-ანცეიგერის» კორესპონდენტი იწერება ტოკიოდგან, გენერალი მატუსენი თავის ანგარიშში ლიაოიანის ომის შესახებ, სხვათა შორის, ამბობს, ვითომ რუსებმა, იაპონელების მოსატყუილებლად, თავიანთ მაღლობებზე ზარბიენების მაგიერ შავად შეღებილი ხეები გამართეს ჩინურ ორ თვლიან ეტლებზეო. მეორეს, ადგილს, მთის ფერდობზე, დიდი თოჯები გაამწკრივეს, თითქო მსროლელთა რაზმიაო. ესეთი ტაქტიკა რუსებისა,—ამბობს იაპონელების გენერალი,—ძველია და ბავშვების თამაშობას წააგავსო (ნ.).

—

ინგლისის მთავრობის განკარგულებით მალტის გუბერნატორს შემდეგი განცხადება გამოუცია ნეიტრალიტეტის მტკიცეთ დასაცველად.

მეომარ სახელმწიფოთა სამხედრო გემებს შეუძლიანთ მხოლოდ იმდენი სურსათი და ქვა-ნახშირი გაიტანონ ინგლისის სამფლობელოს ნავსადგურიდგან, რავდენის საჭიროა სამშობლოს პირველ ნავთსადგურამდე მისასვლელად, და ისიც მხოლოდ ერთხელ სამის თვის განმავლობაში.

თუ რომ სამხედრო გემი ომის ველისკენ მიდის ანუ სანეიტრალო სახელმწიფოების გემების დასაჩხრეკად და შესაპყრობად მიდის, მაშინ ამისთანა სამხედრო გემს არა ნავსადგურში ადგილი არ მიეცემა რისამე წასაღებად და სავაჭრო გემებსაც არა აქვთ უფლება ზღვაში დაუხვდეს სამხედრო გემს და სურსათი თუ ქვა-ნახშირი მიაწოდოს. სამხედრო გემებს ნავსადგურში შესვლის ნება მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, როდესაც დიდი გაჭირვება და განსაცდელი მოელის.

ეს განკარგულება სავალდებულოა ინგლისის ყველ კოლონიებსა და სამფლობელოში და გუბერნატორებს შესაფერი ინსტრუქციებიც გაეგზავნათ ნეიტრალიტეტის დასაცველად. (პ. ვ.).

—

«ნიუ-იორკის ჰერა»-ის კორესპონდენტს შემდეგი ამბავი უნახავს ერთ მაღლობზე ლიაოიანთან.

იაპონელებს რომ აუღიათ ეს მაღლობი, 7 რუსი ნაღმის საწყობ მიწურში მომწყვდეულა და მტერს არ დამორჩილებია. შესავლის კარებს სახვრეტები ჰქონია და იქიდგან რუსები თოფს ისროდნენ. ღამე იაპონელებმა სავსე ტომრები მიზიდეს და შესავალი ამოჰქოლეს. მეორე დღეს რუსებს მაინც თავისი არ დაუშლიათ და მოსალაპარაკებლად მისული იაპონელი აფიცრები მოუკლავთ. ბოლოს რუსებს საქმე ვასჭირებიათ ან ტყვია-წამალი გამოლევიათ და, ნიშნად მორჩილებისა, ჯერ 1 თოფი გადმოუწოდებიათ, მერე დანარჩენი ექვსიც. ეს თოფები იაპონელებს გამოურთმევიათ და ტომრებიც გადმოუყრიათ. მიწურიდგან რუსები თითო-თითოდ, გამოსულან, მაგრამ კარგა ხანს ველარასა ხედავდნენ, რადგან 27 საათს საბნელეთში მყოფთ სინათლე თვალსა სჭრიდა. მათგან 4 კაცი დაჭრილი იყო (ნოვ.).

ტფილისი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მასწავლებლად დანიშნულ იქმნენ: კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ლ. ბოცვაძე და წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ახმეტაშვილი. ქართულ ენის მასწავლებლად დაბალ კლასებში მოწვეულ იქმნენ დროებით ტფილ. სემინარიასთან არსებულ სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი გიორგაძე და საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი იუსტ. აბულაძე.

⁂ ოთხშაბათს, 8 ენკენისთვეს, დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში მწირველი ბრძანდება მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ალექსი.

⁂ 26 აგვისტოს მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა მთავარ მართებლის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც სამართლაში უნდა იქმნას მიცემული ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად და დამფასებელ კომისიის წევრად ნამყოფი (1897 წელს) თავადი ნიკოლოოზ ზაქარიას ძე თუმანოვი. თავ. თუმანოვს ისა ჰბრალდება, რომ სხვებთან ერთად (ესენიც პასუხის გებაში იქმნებია მიცემულნი) მან დამფასებელ კომისიისა და ქალაქის გამგეობის საბუთის ქაღალდებში შეასწორა ზოგიერთი ადგილები, ჩაუმატა და წაშალა იმ აზრით, რომ შეძლება მიეცა თავის ნათესავებისათვის დაესაკუთრებინათ სხვის ადგილები, სახელდობრ—არტემ კარტაშევისა, მარიამ და ეფემია ხეჩუმოვებისა და ქალაქ ტფილისის ადგილები. თავ. თუმანოვი ხმოსნად და დამფასებელ კომისიის წევრად იყო და საბუთის ქაღალდები ხელთა ჰქონდა. ამ საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ახლო მომავალში.

⁂ დაიბეჭდა და მომავალ კვირაში გასასყიდად გამოვა «უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ანუ ქართულ ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება», შედგენილი და გამოცემული ბ-ნ იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნი საკმაოდ დიდის ზომისაა და კარგს ქაღალდზეა სუფთად დაბეჭდილი. შეიცავს 1,130 გვერდს და ჰღირს 1 მანეთად. ბ-ნი იოსებ იმედაშვილი ათი წელიწადია, რაც შეუდგა ამ წიგნისთვის საჭირო მასალების შეკრებას და ამისთვის არ დაუშურებია მთელი თავისი ძალღონე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხანგრძლივი, მაგრამ ნაყოფიერი შრომა ფუჭად არ ჩაუვლის ბ-ნ შემდგენელ-გამომცემელს და ეს ჩვენის საზოგადოებისათვის ფრიად საჭირო წიგნი ჩქარა გავრცელდება, რასაც წიგნს ხელს შეუწყობს თვით წიგნის სიაფე.

⁂ 3 სეკდემბერს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ-მა ხუდადოვმა განცხადება გადასცა ქალაქის გამგეობას საბჭოში წარსადგენად. ბ-ნი ხუდადოვი წინადადებასაა ძლევს საბჭოს, მუშათა უბნებში გამართოს საჩაიები სამკითხველოებითურთ.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აზრადა აქვს დააარსოს ტფილისში აწ არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გარდა სამი კიდევ სხვა კანტორა: ერთი—მიხეილის ქუჩაზე, მეორე—დიდუბეში და მესამე ავლაბარში.

⁂ ქართულ წარმოდგენების ამხანაგობის კომიტეტმა თავმჯდომარედ აარჩია თავ. ზ. ერისთავი, მდივნად იაკ. ცინცაძე ხოლო ხაზინადრად დიმ. დუმბაძე.

⁂ პოლიციის მე-8 ნაწილში სასტუმროში ჩამომხტარა სომხის მღვდელი ტერ-სააკ ტერ-ვასკანიანცი. ვასკანიანცი 2 სეკდემბერს გამოსულა თავის ნათესავის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის აკუბიანცის ბინის საძებნელად და, რადგანაც ვერ უპოვნია, რიყის ქუჩაზე ერთის უცნობისათვის უკითხავს, ხომ არ იცი, სადა სდგასო? უცნობს უთქვამს, მე ვიცი იმისი ბინა, წამომყევიო. მღვდელი გაჰყოლია უცნობს, რომელსაც ერთს მივარდნილს ქუჩაში მიუყვანია და აქ უთქვამს, ფული ვიშოვნე და გავიყოთო. მღვდელს უარი გინუცხადებია. მაშინ უცნობს უთქვამს ფულიანი ქისა დავკარგე და უთუოთ შენ იპოვნიდიო. მღვდელს ამოუღია თავისი ქისა, რომელშიაც 80 მან. ჰქონია,—აი, მე ამის მეტი არა მაქვს-რაო. უცნობს გამოურთმევია საფულე და ისევ დაუბრუნებია პატრონისათვის, ხოლო თითონ გაქცეულა. მღვდელს რომ გაუხსნია საფულე, უნახავს შიგ 80 მან. ნაცვლად ქაღალდში გახვეული 7 ორ-ორ კაპიკიანი.

საქართველოს ამბები

უწერა. (რაჭა). რაჭაში ყოფნის დროს უწერაც ვინახულე. ოთხი დღე დავრჩი მჟავე წყალზედ. ძლიერ შორს ყოფილა; ქუთაისიდგან 123 ვერსია. ვიწრო გზა, რომელიც მიიკლაკნება ზემოდ, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირ ს, მეტად საშიშია. უწერას იქით, 25—30 ვერსის მანძილზედ, არის უკანასკნელი რაჭის სოფლები: გლოლა, ჭიორა და ღები. ათიოდე ვერსის გავლის შემდეგ ამ სოფლებიდგან მიხვალთ რიონის სათავეში.

უწერა სააგარაკო ადგილია, სადაც საქართველოს ყოველ კუთხიდგან იკრიბებიან მოაგარაკენი. წელს მოაგარაკეთა რიცხვი 800—1000 სულამდე ითვლებოდა, თუმცა დიდის ხნით მაინც-და-მაინც არავინ იცდიდა.

რიონის მარჯვენა ნაპირას, ვიწრო ხეობაში, ნაძვებით შემოსილ მთებს შუა, გაშენებულია 30-ზედ მეტი სააგარაკო უბრალო ხის სახლი. თითო ოთახი ქირავდება 10—15 მანეთად. უბრალო საწოლი მაგიდა და ორიოდე ძველი სკამია ოთახის მორთულობა. არის ნომრები, სადაც უფრო სისუფთავეს და მორთულობას ჰნახავთ, მაგრამ უფრო ძვირიც არის. ორი სამიკიტნო და ორი საწვრიმალნო დუქანიც მოიძებნება, სადაც ყოველივე მამასისხლად იყიდება. სახლის პატრონები და მეეტლენიც აქ თავის ნებაზედ არიან მიშვებულნი. ყველას თავისი კანონი ჰქონია და საზოგადო კანონს როდი ემორჩილება. მეეტლე გაგირიგდება და, როდესაც მიგიყვანს დანიშნულ ადგილას, მერე მეტს მოგთხოვს; თუ არ მისცემთ, ჩხუბს აგიტეხს. სახლის პატრონიც სცდილობს, რაც შეიძლება, გაგყვლიფოს შორიდგან მოსულნი; გარიგებას არც ის უყურებს: შეუძლია მეორე დღეს პირობა შეგიცვალოს და, რაც უნდა, ის გადაგახდევინოს.

წესიერების დამცველად არის ერთი დარაჯი და ერთი «გოროდოვოი». უკანასკნელი მეფარნეც არის და «სანიტარიც». ესენი, რაც შეიძლება, მეეტლე-მედუქნე სახლის პატრონებს უჭერენ მხარს და ამართლებენ. რაღა ჯანი აქვს ას ორმოცი ვერსიდგან მოსულ უცხო კაცს? თუ არ შეასრულა «ტრაჟის» ბრძანება, მიუთითებს «გოროდოვოის» და ხაბაკს დაუკავებს. სამართალი ამათ ხელშია, სხვა არავინ არის პატრონი. ბოქაული ონში იმყოფება და, თვეში ორჯელ თუ მიაკითხა უწერას, დიდი საქმეა. საკვირველი ის არის, რომ ამ სოფლის ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებს ფული გაუხდიათ ღმერთად და ზრდილობა დაუკარგავთ. ისე გავაჭრებულან, რომ უფულოდ ნაბიჯს არ გადადგამენ. პატარა გოგო-ბიჭებისაგან საშინელ უწმაწურ სიტყვებს გაიგონებთ.

გლოლა-ჭიორა-ღებელები უფრო მიქეს: ძათში უფრო დაცვულია ზრდილო-

ფელეტონი

ნერსესა და მათეოზა კათალიკოზნი.

(დასასრული [*])

კათალიკოზის საძებნელად გაეგზავნა სამღვარგარედ კ-ნს [11] ვიღაც განსაკუთრებით შორს მჭვრეტელი და მახვილი სომეხი, რომელიც როდესღაც რაღაც სამსახურში ყოფილიყო. იმ ჟამად-კი, ეღნობა რომ დაეკისრეს, სამსახურში აღარ ითვლებოდა. გვარი აღარ მახსოვს ამ სომხისა, ეს კი კარგად მახსოვს, რომ მისი მწყალობელი კ-ნი ისეთ საადმინისტრაციო საქმეებს ანდობდა, სადაც საჭირო იყო საიდუმლოების შენახვა. მე ჯერ კანცელარიის დირექტორად არ ვიყავ დანიშნული, კანდიდატის საძებნელად რომ გაეგზავნათ ზემოდ აღნიშნული სომეხი. შედეგი ამ საიდუმლოებით მოცულის მიხლა-მოხლისა ის იყო, რომ ხელი დაადეს სტამბოლის ეპისკოპოზს, თუ მთავარ-ეპისკოპოზს, მათეოზს და გადასწყვიტეს, რომ ეპისკოპოზი მათეოზა ყოველის მხრივ მშვენიერი კათოლიკოზი იქნებაო. საზრუნავი ერთი-ღა გვქონდა, სახელდობრ ისა, რომ სომხობას ეს მათეოზა აერჩია კათოლიკოზად.

კათალიკოზის ასარჩევად ერთი წელიწადია დადებული ვადათ. არჩევანი ეჩმიაძინშია. აღნიშნულ დროს იკრიბებიან ეპარქიის დეპუტატნი და სინოდის წევრებთან ერთად ირჩევენ კათალიკოზს. სინოდის წევრნი და კავკასიის ეპარქიათა დეპუტატნი ჩვენს ხელში იყვნენ და კიდეც გამოვიყენეთ ჩვენი უფლება. მართლაც კათოლიკოზად მათეოზა აირჩიეს. პეტერბურგიდგან გამოგზავნეს ღრამატა, რესკრიპტი და რაღაც ლენტი. სომხის ახალ-გაზდა, აგრეთვე გაოსტატებულ გენერალ მიხეილ ლორის-მელიქოვის [12] ხელით გაუგზავნეს მათეოზას სტამბოლს პეტერბურგიდგან გამოგზავნილი ღრამატა, რესკრიპტი და ლენტი. შემდეგში ლორის-მელიქოვი თერგის ოლქის ჯარის უფროსად იყო. ახალი კათალიკოზი ამ გენერალმა ჩამოიყვანა სტამბოლიდგან ტფილისს.

კათალიკოზი მოვიდა ტფილისს, ვგონებ, 1859 წ., ზაფხულს. თავადი ტფილისს არ იმყოფებოდა. როგორც გუშინდელი ამბავი, ისე მახსოვს ეს დღე. აუტანელი სიცხე იდგა. გავარვარებული მზე სწვავდა და სთუთქავდა მათეოზას დასახვედრად შეგროვილ ერსა, სომხის სამღვდელოებას და განმარტოებით მდგომარე ტფილისელ წარჩინებულთა კრებულს. როგორც ყოველთვის ჰხდება, ეხლაც ის გამეორდა. დანიშნულ ვადაზე არ მოვიდა კათალიკოზი, მთელი ორი საათი უცადეთ. მომლოდინე ერი სწორედ დაიწვა და დაიდაგა სიცხით. გამოჩნდა თუ არა კათალიკოზისა და ამალის ეტლები, ასტყდა ზარის რეკა სომეხთა ეკკლესიებში. სამღვდელოება გამწკრივდა სადარბაზო წასასვლელად სობოროსა, თუ მონასასტრისაკენ, სახელი აღარ მახსოვს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა [13]. კათოლიკოზი ეტლიდგან ჩამოხდა, წარჩინებულნი მიეგებნენ. შემდეგ კათალიკოზი შეუერთდა პროცესიას, რომელიც მალე გაუდგა გზას. პროცესიას წინ მიუძღვოდა ჩვენებურ მგალობელთა მგზავსი ბავშვების ბრბო და საზიზღრად გაჰკიოდა ჯუჯღუნა ხმით. კეთილ-ხმოვან ყურისათვის აუტანელი იყო ეს ჯუჯღუნა ხმა. პროცესიის მსვლელობის დროს კარგად დავაკვირდი მათეოზას. პატარა ტანისა, ძალზე ჩასუქებული, დიდ ცხვირა, გამოკარკლული რაღაც კალის მგზავსი თვალებით, საკვირვლად ჰგავდა ოსმალოსა [14]. კათალიკოზის ამალაში ყურადღებას იპყრობდა პატარა ტანისა, ჩამომხმარი, სათვალებიანი კაცი. მიხვრა-მოხვრა ისეთი ჰქონდა, როგორც ფრანგსა. ჭკუა გონება, ფარისევლური მორჩილება და გაიძვერაობა იხატებოდა ამ ქონდრის კაცის სახეზე. სომხის ბერთა ჩვეულებისამებრ თავი მოებურა კაპიუშონით, საიდანაც გამოიყურებოდა ჭკვიანი და ცნობის მოყვარე თვალები. ეს გახლდა არქიმანდრიტი აივაზოვსკი. რაკი საქმე წააგო, რაღაც მანქანებით შეძვრა კათალიკოზის ამალაში, თუმცა, ეჭვი არაა, სულით და გულით ნატრობდა, რომ მის მოწინაამდეგეს დედა-მიწა გახეთქოდა და მის ნაპრალში დალუპულიყო.

დაუსრულებელი ღვთის-მსახურება გააბეს, პროცესსია ეკლესიაში რომ შევიდა. ეპისკოპოზმა სარქისამ, ამ მეორე იმედ გაცრუებულმა კანდიდატმა, წარმოსთქვა უუგრძელესი სიტყვა, რასაკვირველია, სომხურად. ნაცნობმა სომხებმა დიდად მიქეს სარქისას სიტყვა. ზეცას მადლობა შესწირაო, რომ სომხის ერი გააბედნიერა ისეთის კათალიკოზით, როგორიცაა მათეოზა, თუმცა, ეჭვი არაა, სარქისას ნატვრა და სურვილი ისეთივე იყო, როგორც აივაზოვსკისა.

შემდეგ კათალიკოზმა ილაპარაკა დიდხანს. იმავე ნაცნობმა სომხებმა მითხრეს, კათალიკოზი მშვენივრად ლაპარაკობსო. რადგან ლაპარაკისა არა მესმოდა-რა, ორატორის მიხვრა-მოხვრას ვადევნებდი თვალსა. უცნაურ ადამიანად მეჩვენა მქადაგებელი, ალბად იმიტომ თუ, რომ თვალი არა მქონდა შეჩვეული. ღვთის მსახურების შემდეგ კათალიკოზი წაბრძანდა წინადვე მისთვის მომზადებულ ბინაზე, სადაც წარუდგნენ სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებულნი. ამ წარდგენიდგან ადამიანი აბა რას დაასკვნიდა, რადგან საუბარი, ორიოდე შემთხვევის გარდა, თარჯიმანების შემწეობით მიმდინარეობდა. თარჯიმანებმა-კი ამ ქვეყანაში სახელი იმითი გაითქვეს, რომ ყველაფერს ასხვაფერებენ.

მეორე დღეს, მეფის მოადგილეს სასახლეში, დიდის წარჩინებით ჩააბარეს კათალიკოზს უმაღლესად ნაბოძები. ქაღალდები, რომლითაც მტკიცდება ხოლმე ახალი კათალიკოზის არჩევანი. წესი ისეთია, რომ ჯერ წაიკითხავენ ქაღალდებს, მერმე გადასცემენ კათალიკოზს. ქაღალდები საერთო სურვილისა და თხოვნის გამო მე წავიკითხე ჩემის წკრიალა და კეთილ ხმიანი ბარიტონით. კათალიკოზმა კიდევ რაღაც სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ მალე წავიდა თავისს ეჩმიაძინში. ამ გვარად პეტერბურგში მყოფმა თავადმა პირისპირ ვერა ნახა კათალიკოზი. მეტი ჩარა არ იყო, უნდა გვეცადა, თუ რა ნაირად გამოიჩენდა თავს ახალი კათალიკოზი.

სამწუხაროდ, კათოლიკოსმა თავი მალე იჩინა, მაგრამ ჩვენთვის საკეთილო არა ეტყობოდა რა ამ გამოჩენას. ისე ურცხვად წაეტანა დამოუკიდებლობას, რომ ასეთი დამოუკიდებლობა თვითნებობასა ჰგავდა. ერთი ადგილიდან მეორეზე არქიერები გადაჰყავდა თვისის სურვილისამებრ; მთავრობის დაუკითხავად და მის დაუმტკიცებლად კი ეს არ შეიძლებოდა. ეჩმიაძინის პროკურორი პროტესტს აცხადებდა, ეს კანონის დარღვევააო, მაგრამ კათალიკოზი ზიზღით უყურებდა პროკურორის პროტესტსა [15]. გაიმართა სასტიკი ომი ქაღალდზე, რაც ხანი გადიოდა, ომი უფრო ძლიერდებოდა. მე და კ-ნმა ურჩიეთ თავადს, ტფილისს დაიბარეთ კათალიკოზი, ეგებ პირის-პირ მოლაპარაკების შემდეგ, როგორმე ბოლო მოუღოთ ამ ურიგობასო, მაგრამ მათეოზა არ მოდიოდა, ავადა ვარ, ციებ-ცხელება მკლავს, თორემ მოვრჩები თუ არა, ბედნიერებად ჩავთვლი მანდ ჩამოსვლასო. თუმცა ასე იწერებოდა, მაინც არ მოდიოდა. თავადი კიდევ უთვლიდა, ტფილისს მობძანდიო.

ასე გაჭიანურდა საქმე, ვიდრე თავადი და მეც სრულიად არ გავშორდით კავკასიას და მის საქმეებს [16].

ა. —ლი.

* * *

---

[*] იხ. ივერ. № 205.

[11] ინსარსკის წინა მოადგილე კრუზენშტერნი. თვით ინსარსკი თ. ბარიათინსკის მოურავი იყო. თავადს ისე შეაყვარა თავი, რომ მოურაობიდან პირველი მოხელე გახდა საქართველოში. ინსარსკი დირექტორად რომ დანიშნა ბარიათინსკიმ, მთელი ტფილისის არისტოკრატია აყაყანდა: მოურავი და დირექტორი—ვის გაუგონიაო. ა. —ლი.

[12] აქ მოხსენებული გენერალი ცნობილი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვია, შემდეგ გრაფობის ღირსება რომ მიიღო. ქართველობას ეხსომება, რა ცხარედ ამტკიცებდა განსვენებული დ. ი. ყიფიანი—ლორისი ქართველი აზნაურიშვილია და არა სომეხიო. აზნაურიშვილი-კი ქართველი იყო, მაგრამ ჩამომავლობით სომეხი და, როგორც სჩანს, სულით და გულითაც სომეხი ყოფილა, რასაც მაშინვე სამართლიანად ამტკიცებდნენ. სომხის გაზეთები განა კათალიკოზის მოსაყვანად საეჭვო სომეხს გაჰგზავნიდნენ სტამბოლს? დედანში მელიქოვს ასეთი ეპიტეტი აქვს მიკერებული: также искусный, საძებნელად გაგზავნილ სომეხს კი ასეთი: особенно тонкій. ა. —ლი.

[13] ვანქის ტაძარი. დღევანდელი კათალიკოზი მკრტიჩი რკინის გზით მოვიდა ტფილისს და სამღვდელოება სადგურზედ მიეგება. მათეოზა ალბად ვერის გზით მოვიდოდა და ხალხიც ოლგის ქუჩის თავში შეეგებებოდა. ა. —ლი.

[14] დედანში: турегчина. ა. —ლი.

[15] დედანში: протестъ прокурора просто сталъ презирать.

[16] ინსარსკი იმასაც ამბობს, რომ თავად ბარიათინსკის ნაკლებად აინტერესებდა ეს საქმეო. თავადი გატაცებული ყოფილა ქრისტეანობის აღდგენით კავკასიაში.

ინსარსკის მემუარებს «Р. Ст.» რედაქცია საინტერესოს უძახის. ჩვენცა გვგონია, რომ მემუარები ინტერესს არაა მოკლებული. პატიოსანის მიმართულებით განთქმულ მოსკოვის გაზეთ «Рус. Вѣдомости»-ს არ მოსწონს ინსარსკის მემუარები, შიგ საინტერესო არა ყრიაო. თითქმის ის აზრია გამოთქმული, რომ ნამოურავალი კაცი საინტერესოს რას დასწერდაო.

ამ გაზეთის ერთ საუკეთესო თანამშრომლად განსვენებული გ. ა. ჯანშიევი ითვლებოდა, რომელმაც ბორჩალოს ხეობა სომხეთის ნაწილად აღვიარა. ინსარსკი ირონიით და გესლით იხსენიებს სომეხთა კათოლიკოზს, რედაქციას ის ხომ არა სწყინს, რომ ინსარსკი მოწიწებით და ქედმოდრეკით არ იხსენიებს თავის თანამშრომლის სათაყვანებელ მოღვაწეთ? ვინ იცის!...

ა. —ლი.

ბა და ძველებური სტუმართ-მოყვარეობა და პურ-მარილით, თუმცა მთის რაჭის მცხოვრებლები არიან. მინდოდა წავსულიყავ და ეს სოფლები დამეთვალიერებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

სააგარაკო სახლებიდგან თითქმის ერთ ვერსის მანძილზედ, რიონს გაღმა, მაღლობზედ, გამოდის მჟავე წყალი იმდენი, რამდენიც პატარა სამოვრის მილიდან. აქვე არის გაკეთებული დიდი ფანჩატური, მოწყობილი დასაჯდომებით, სადაც ხალხი იკრიბება დილა-საღამოთი და სვამს წყალს. წყალი მშვენიერი სასმელია და მოსახდენისი. მეტად ცივია და სასიამოვნო იქვე, ვიდრე შორს წაღებული. უნდა დღეში გადაიხადოს 6 კაპ., ვისაც წყალი უნდა სვას. ბინაზედ ვინც წაიღებს, გადახდება ბოთლში სამი კაპ. ეს წყალი ეკუთვნის ბ-ნ ივანე გამყრელიძეს, ტფილისის მეორე გიმნაზიის ინსპექტორს. მადლობის ღირსია ბ-ნი გამყრელიძე, რომ დაუდგენია და მასწავლებლებს საზოგადოდ იქვე წყლისა არაფერი ხდებათ. წასაღებ ბოთლის პრობკით და სინით გაკეთება ღირს სამი კაპ. ცოტა არ იყოს, ეს-კი მეძვირა. ჰაერი უწყრაში შესანიშნავი ყოფილა. დილა-საღამოობით თითქმის სიცივეა, სამაგიეროდ, შუადღისას დიდი სიცხეა. ძლიერი მოსაწყენი ადგილია, რადგანაც გასართობი არ არის. კარგი იქნება, რომ წყლის პატრონი დააარსებდეს «სასეზონო სამკითხველოს». სულ იმარებს 20—30 მანეთი გაზეთების გამოსაწერად ივნის-ივლის-აგვისტოს გასვლამდე. შემოსავალი წყლიდგან კი 1,500 მანეთამდე ავა.

მაზრის ექიმი დ. ონიდგან ამოდის ხანდახან. აფთიაქი არ არსებობს; თუმცა არსებობდა „სეზონის“ აფთიაქი, მაგრამ გაუქმდა, რადგან ვერაფერი იხეირა. აქვე არის პატარა ქვის საყდარი სამრევლო სკოლით.

აგვისტო დადგა, მაგრამ კალოობა კიდევ დაწყებული არ იყო; აქა-იქა კიდევ მოუმკალი პური იდგა. ხალხი პურის მოსავალს ემადლიერებოდა. ვენახებსაც კარგად ასხია, ხოლო სიმინდი კი წასულია ხელიდგან გვალვის გამო. ძველი სიმინდი გადმოაქვთ აქ ოსებს სალიგვერდიდგან, სადაც ბლომად თურმე მოდის სიმინდი, და აქ ჰყიდიან ფუთს 90 კაპ.; ამ სიმინდის მარცვალი მეტად წვრილია როგორც მითხრეს, ასი მოსახლე ზემო-რაჭელი გადასახლებულა ოსეთში «სალიგვერდაში», იქ თურმე 500—600 მანეთად მშვენივრად დაესახლება კაცი, იმდენი ყოფილა მიწები და მოსავალიც შესანიშნავი სცოდნია.

ვლად. ბზვანელი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ცხვარი რომ მობრუნდება, კოჭლი წინ მოექცევაო, რომ იტყვიან, სწორედ თ. მეშჩერსკიზეა ზედ-გამოჭრილი. დღემდე მეშჩერსკი ვის ახსოვდა, ვის რად მიაჩნდა? ის იყო იმისთანავე კონსერვატორი, სიბნელისა და უკანდახევის მოყვარული, როგორც განსვენებული კატკოვი, გრინგმუტი და მებრვე სხვანი. ჭკუითა, ნიჭითა და გავლენით კატკოვთანაც ვერ მოვიდოდა. მისი გაზეთი უკან ჩამორჩენილი, ხელის მომწერლებს მოკლებული, ერთი საცოდავი, ბრჯგუ და დრკუ, სამასხარო ფურცელი იყო. სიცილისა და შებრალების გრძნობის მეტს არას იწვევდა საზოგადოებაში. მაგრამ ამ ომიანობამ გაზეთიც გამოაფხიზლა და მისი რედაქტორიც. ფონ-პლევეს სიკვდილის გამო დაბეჭდილმა მისმა წერილმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია. წერილი დიდის გულწრფელობით იყო დაწერილი და ავტორი ამტკიცებდა, რომ სიმართლეს, მარტოოდენ სიმართლეს უნდა ადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი. ეგ სიმართლე არ უნდა დაჰფაროს ხელმწიფის წინაშე, არ უნდა ებლაუჭებოდეს თავის მაღალ ადგილს და მისის შერჩენისათვის არასოდეს არ უნდა ჰღალატობდეს სიმართლესაო. არავითარი საკუთარი პოლიტიკა არ უნდა ჰქონდეს, არამედ უნდა ექვემდებარებოდეს იმ ხელმძღვანელობას, რომელსაც ინებებს და ისურვებს სამეფო ტახტი, დამყარებული სიმართლის ცოდნაზედაო.

ახლა კიდევ დაუბეჭდია პატივცემულს თავადს წერილი და გაბედვით მოუწოდებს ყველას, პირდაპირ უყურეთ სიმართლეს, თვალი თვალში გაუბნიეთ და დაინახეთ, რა სამწუხაროა ჩვენი მდგომარეობა. ახალის შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნა ახარებს მეშჩერსკის და ამბობს:

თ. პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკის დანიშვნა უნდა გაუხარდეს რუსეთის რიგიან კაცთა მთელს დიდს კრებულს, სულ ერთია, რა მიმართულებისანიც უნდა იყვნენ, რა ეროვნებისანიცა, რა სარწმუნოებისანიცა, იმიტომ რომ სვიატოპოლკ-მირსკის სახით შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში დგება იდეალურად რიგიანი კაცი. სვინიდისი რიგიანის კაცისა, როგორც ხელძღვანელი ურთიერთობაში თუ ხელმწიფისა, თუ სახელმწიფოსა და თუ საზოგადოების მიმართ, არის ის, რაც ასე საჭირო შეიქმნა ამ ჩვენს დროს; საჭირო შეიქმნა ისე, როგორც მზე ძანძახსა და სიცივეში. იმიტომ რომ მარტო სვინიდისს შეუძლიან მოგვცეს ის, რაც გვწყურიან ჩვენის აღორძინებისათვის; მარტო სვინიდისს შეუძლიან მოგვცეს სიმართლე. მხოლოდ სვინიდისს შეუძლიან სძლიოს იმას, რაც გვღუპავს და რაც ატყუნებს ყოველსავე, სიცრუეს. რაგი სიმართლე აგვიშორებია, ჩვენი სულიერი არსებობა ამ გარემოებას ისე შეურყევია, ისე აურევ-დაურევია და აუფუტკნია, რომ არა თუ ხელმწიფისა და სახელმწიფოს სამსახური, არამედ სიცოცხლეც კი გაძნელებული გვაქვს.

ყოველ ამის ბრალიაო, —განაგრძობს ავტორი,—რომ სამსახურშიაც არავინ იცის, ვის გაუგონოს, ვის ერწმუნოს და რას ეტანებოდესო. მირსკის დანიშვნით შინაგან საქმეთა მინისტრად ილვიძებს იმედი, რომ ამოვა მზე სიმართლისაო.

თუ-კი სიმართლე იქმნება, ძირითადი რეფორმებიც შეიძლება მოხერხდეს.

იფიქრეთ ახლა, რა ყოვლად დიდებული და სამადლობელი საქმეა, რომ იმავე მანიფესტში გამოთქმულ სურვილის განსახორციელებლად, სვინიდისით, ბიუროკრატიის ას-თავიან გეშაპის მოურიდებლივ, ახსნათ რუსეთს მძიმე უღელი ცენტრალიზაციისა შინაგან მმართველობაში და მიჰყოთ ხელი გუბერნიასა და მაზრაში ვრცელის დამოუკიდებლობის დამყარებას და თან ნდობით ეკიდებოდეთ ყველა მდგომარეობისა და ყველა წოდების პატიოსან კაცსა!

ამისთანა ცეცხლის დანთება რუსეთში, რომ ყველას ჰქონდეს გზა გათბობისა, რომ მთავრობის მტრები ვეღარას ახერხებდნენ, ასეთის ცხოვრების მოწყობა, რომ საყოველთაო ზრუნვის გამო ერის სიკეთისათვის შეუძლებელი-და იყოს ფიქრი, ვითომ ერობა მტერია მთავრობისა, ასე გარდაქმნა ერობისა მთავრობის ძმად და მომხრედ, შეუძლიან თავად მირსკის, თუ კი თავის იდეალებს მტკიცედ მიჰყვება და სიმართლისათვის ღვაწლს შეიმოსავს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 სეკდემბერი.

პეტერბურგი. მთავარი შტაბი იუწყება, მეფის მოადგილის შტაბის უფროსი შემდეგსა სწერს ოფიციალური მოხსენება სასტიკ ბრძოლის შემდეგ ლიაოიანის ალების შესახებ ძალიან არის სიმართლეს დაშორებული იქ, სადაც ამბობს, იაპონელებმა სამხედრო სურსათი და ვაგონები წაართვეს რუსებსაო. ნამდვილად კი ჩვენ დავტოვეთ ბრძოლის ველზე მოძრაობისათვის სრულიად გამოუსადეგარი ორი ძველი ვაგონი, რამდენიმე დამტვრეული ურები და ცოტაოდენი ყუთი პატრონებით. ჩვენის რევოლვერის ყველასაგან ცნობილი თავ-გადაკვეთილი ტყვია ოიამას დუმ-დუმის ტყვიად აქვს მოხსენებული».

სან-ფრანცისკო, 4 სეკდემბერი (რეიტერი). ბარგის მზიდავი გემი «ლენა» მოვიდა მერ-აილენდს, სადაც დაუყონებლივ აჰყრიან იარაღს.

შანჰაი, 3 სეკდემბერი. რამდენიმე კერძო კაცმა ამბავი მიიღო, ვითომ პორტ-არტურთან იაპონელთა ყველა აფიცერი მოუკლავთ.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა მისს უდიდებულესობის სახელზე, გამოგზავნილი 3 სეკდემბერს გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის მიერ: დიდად გაახარა მთელი მანჯურიის ლაშქარი თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის მაღალ-მოწყალე დაფასებამ იმის შრომისა და სამხედრო მოქმედებისა. ყველანი აღსავე ვართ ერთის სურვილით: ვძლიოთ მტერსა და გავამართლოთ ნდობა ჩვენდამი რუსეთის ლაშქრის უმაღლესის წინამძღოლისა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჯარი თავ-გამოდებით იმსახურებს მომავალშია ლიაოიანიდან უკან დაწევა იმ გარემოებაში, რომელშიაც მოხდა, მართლა აუცილებელი იყო და მასთან შესანიშნავიც, რადგან ძრიად ძნელი ასასრულებელი იყო. ჩვენი მტერი ამ ხანად არ აზვიადებს თავის გამარჯვებას: სრულებით არაფერს ამბობს ტყვეების წაყვანისა, ზარბაზნების და სხვა დავლის წართმევის შესახებ. კუროკის ოფიციალური მოხსენება გვიმტკიცებს, რომ 22 აგვისტოს დილას კუროკის მთელი ჯარი, იაპონელთა უდიდესი ლაშქარი უკვე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზე იყო და ადვილად შეეძლო გზა გადაეჭრა ლიაოიანის დამცველ ჩვენის ჯარისათვის. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას.»

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 4 სეკდემბერს: 3 და 4 სეკდემბერს მანჯურიის ლაშქარში ბრძოლა ჰქონიათ. იაპონელები მთელ თავის ფრონტზე აძლიერებენ მოწინავე სადარაჯო რაზმებს, განსაკუთრებით-კი სოფელ ბიანიპუზასთან და რკინის გზის აღმოსავლეთით იანტაის მღვიმე-მადაროების მხარეს.

ლონდონი. (რეიტერი). „ტაიმს“-ის კორესპოდენტი პეკინიდან ტელეგრაფით გადმოგვცემს ინგლის თიბეთის ხელ-შეკრულობის ტექსტს, რომელიც ჩინეთის მთავრობას მოუვიდა. ხელ-შეკრულობა წინასიტყვაობაა და 10 მუხლია. ხელ-შეკრულობის ძალით, თიბეთელები ვალდებულნი არიან დაარსონ ბაზარი იატუნგისა, გიანცზესა და ჰარტოგში ინგლისელების და თიბეთელების სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად. თიბეთი ვალდებულია, ნება მისცეს ინგლისს არსებულისა და მომავალის გზებით ზიდონ საქონელი. თიბეთელებმა უნდა გადაიხადონ სამის წლის განმავლობაში შვიდი მილიონი და ხუთასი ათასი მანეთი კონტრიბუცია. ამ კონტრიბუციის გადახდის უზრუნველ-საყოფელად ინგლისი ჯარს დააყენებს ცამბის პროკინციაში და არ გამოიყვანს, სანამ კონტრიბუცია სრულად არ იქნება გადახდილი. თიბეთს აეკრძალა გაყიდვა ან იჯარით გადაცემა რომელსამე სხვა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ თავის ტერიტორიისა, თუ ინგლისი თანახმა არ გაუხდა, ამასთანავე თიბეთში არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა მიეცეს ნება გზების და ტელეგრაფის გაყვანისა, მადნების შემუშავებისა და სხვა.

მადრიდი. 4 სეკდემბერს მოვიდა კობურგის პრინცესსა ლუიზა.

რომი. 3 სეკდემბერი, მეფემ ერთი მილიონი ლირა შესწირა მოხუც მუშების უზრუნველ-საყოფელად.

ბაქო, 4 სეკდემბერი. მოჰხდა კრება საგუბერნიო სასანიტარო კომისიისა, უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილის გრაფის შუვალოვის თანადასწრებით. გრაფმა განაცხადა, რომ ბაქო კარგ სანიტარულ გარემოებაშიაო. ამასთანავე აღინიშნა ის პრაქტიკული ღონისძიებანი ხოლერის და შავი ჭირის წინააღმდეგ, რომელიც ოდესსაში იყო მიღებული, სამოქალაქო გრადონაჩალნიკად ყოფნის დროს.

ლონდონი 4 სეკდემბერი. (რეიტერი). იაპონიის ელჩები ლონდონში ჰაიაში სთხოვს რეიტერის სააგენტოს, შეასწოროს ცნობა იმ საუბრის შესახებ, რომელიც «მატენში»-ში იყო დაბეჭდილი. ჰაიაშიმ სთქვა, ვერაფერს ვიტყვი ჯერჯერობით მშვიდობიანობისას; შემიძლია მხოლოდ აღვიარო, რომ იაპონიამ უნდა იბრძოლოს იმ დრომდე, სანამ რუსეთი განაგძობს ბრძოლასაო.

პეკინი. (რეიტერი). იტალიელ და ჩინელ ჯარის კაცთ ჩხუბი მოუვიდათ. იტალიელებმა ორჯერ ესროლეს თოფი ჩინელთა ჯარის სარდლის სახლს.

ლონდონი, 1 სეკდემბერი. (რეიტერი). კუროკის ჯარის მთავარი სადგომი და იაპონელთა ლაშქრის ფრონტი ამ ჟამად ლიაოიანიდგან ჩრდილოეთითაა, მუკდენის შუა გზაზედ; ამათ წინ დგანან კუროპატკინის მიერ დაყენებული სადარაჯო რაზმები. ჰფიქრობენ, კუროპატკინი თავისი ჯარი მთავარ სადგომს ხარბინში გადაიტანსო. ორივე მებრძოლი, როგორცა სჩანს, კმაყოფილია, რომ ბრძოლა დროებით შეჩერდა, რადგან ლიაოიანის ომმა იაპონელებიცა და რუსებიც ძალიან დაღალა.

მუკდენი, 4 სეკტემბერი (რეიტ.) როგორც იუწყებიან, იაპონიელები წინ იწევიან აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან; ცხადი ნიშნებია იმის, რომ მუკდენთან დიდი ბრძოლა მოხდება. რუსეთის ჯარს უჭირავს მუკდენის გარეშემო ყველა სოფლები, საიდანაც ჩინელები ათასობით იხიზნებიან ქალაქში- ჩინელები იაპონელთა სისასტიკეს სჩივიან,

პარიჟი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და ხუნანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი გაიგზავნა მოსალოდნელ უწესოების წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებათა მისაღებათდ. მოძრაობის მეთაურნი იმუქრებიან, პეკინ-ხანკოუს რკინის გზა უნდა გავაფუჭოთო.

ვიგო. («ჰავასის სააგ.»). შტატს გარეშე მყოფმა რუსეთის აქაურმა ვიცე-კონსულმა, რომელიც ამავე დროს ინგლისის ვიცე-კონსულადაც იყო, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, საკონსულო საქმეები საფრანგეთის ვიცე-კონსულს გადასცა.—ლისაბონიდან მოვიდა რუსეთის კრეისერის «ტერეკ»-ის უფროსი.

სტამბოლი. 3 სეკდემბერი. («კორ. ბიურო»). რამდენიმე გავლენიანი ალბანელი ბეი ხელს უშლის ოსმალეთის მთავრობის კომისიას, რომელიც ალბანიაში ავაზაკობის მოსასპობლად მოქმედებს. ამიტომ ამ ბეების დასასჯელად ჯარი გაიგზავნა. — მონასტირის ვილაიეტში გაჩნდა ბერძენ მეამბოხეთა ბრბო, რომელიც, როგორც ამბობენ, 36 კაცისაგან შესდგება. ოსმალეთში ამბობენ, რომ ეს ბერძენთა პირველი ბრბოა, რომელსაც პოლიტიკური მისწრაფება აქვს და არა ავაზაკობაო.—ალბანელთა მოძრაობის მოსასპობად გაიგზავნა ერთი კორპუსი და ორი ბრიგადა; თითო ბრიკადა 5 ბატალიონისაგან შესდგება. ეს ჯარი მიტროვიცსა და პრიზრენში მიდის. როგორც სჩანს, ილდიზკიოსკში თანდათან ძლიერდება ალბანელთა გავლენა. ალბანელები სცდილობენ, ხონთქარს პრიზრენიდან ჯარი დააბრუნებინონ.

სტამბოლი. (კორრ. ბიურო). მესამე კორპუსის ოლქიდან ამ დღეებში უკანვე დააბრუნებენ მცირე აზიის ბატალიონებს; სამი ვილაიეტი, სადაც ეხლა რეფორმები შეაქვთ და საიდანაც ჯარების გაყვანა თავდება, ამიერიდან სრულიად განთავისუფლდება მეტად მძიმე სამხედრო ხარჯებისაგან; ამიტომ მალე შესაძლებელი შეიქმნება ამ ვილაიეტების ბიუჯეტის განწესრიგება მირცშტედტის პროგრამის თანახმად.

5 სეკდემბერი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი შტიურმერი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

ბერლინი. «ტაიმსის» პარიჟელი კორესპონდენტი ირწმუნება, ბალტიის ესკადრას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთს მიდის, ნახშირის მიცემას გერმანელების ვაჭრები დაჰპირდნენ. დატვირთვა ნახშირით დანიშნულს ადგილებზედ იქნება, რომელიც ვითომ იციან თვით რუსეთისა და გერმანიის იმპერატორებმა, ეს ამბავი, ამბობს «ნორდეიტშე ალგემეინ ზეიტუნგი», სრული ტყუილიაო.

—თუ გერმანიის ქვეშევრდომთ იკისრეს, მისცენ რუსის სამხედრო გემებს ნახშირი, ეს იმათი კერძო საქმეა და პასუხის მგებელნიც თვით იქმნებიან, საერთაშორისო უფლების ძალით ამგვარი საქციელი კერძო კაცთა არ ეწინააღმდეგება ნეიტრალიტეტს, რადგანაც ნეიტრალიტეტი არ უკრძალავს ქვეშევრდომებს თავისუფალ ვაჭრობას, ამას გარდა ნახშირი, რომელიც უნდა მისცენ, ინგლისისაა, რომელმაც მიჰყიდა კარდიფში. როგორც ინგლისის მთავრობა არ აგებს პასუხს ინგლისში გაყიდულ ნახშირის გამო რუსის სამხედრო გემებისათვის, ისე გერმანიის მთავრობა არ აგებს პასუხს.

ტულონი. სავაჭრო გემი «არიოლი» რუსის წითელის ჯვრისა ბარცელონას წავიდა, დიდის ამბით გააცილეს. სამხედრო მთავრობამ დოკუმენტი მისცა იმისი, რომ სამხედრო მასალა არ მიაქვს.

ჩიფუ. (რეიტერი). ეგონათ დალნიში მცხოვრებლებს, რომ საერთო იერიში პორტ-არტურისა 2 სეკდემბერს განახლდებოდა. მეორე დღეს მუშაობა იაპონელთა ერლუშანისა და ციგანშანის ასაღებად გათავებული იყო. 2 სეკდემბერს დილითვე იაპონელებმა საშინელი ყუმბარების სროლა დაუწყეს ციხესა. 3 სეკდემბერს დილიდან იაპონელთ დაიწყეს სროლა შუშთინიდან და პალუჯიანიდან. მტრედის ნავთსადგურში დიდი ტანის ზარბაზნები დასდგეს. რუსებმა დასცალეს სოფელი იანცატუნი, რომელიც ახლოა მტრედის ნავსადგურთან. იაპნელები არ შესულან სოფელში. 500 ცხენოსანი, რომელნიც გამოვიდნენ და უნდოდათ იაპონელნი გაეძევებინათ პალიჯუანიდან, აღარ დაბრუნებულან ციხეში. ფიქრობენ, რომ ისინი ტყვედ წაიყვანესო.

ბელოსტოკი. ბელოსტოკის ებრაელთა საზოგადოებამ დეპეშით მიულოცა ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს თავადს სვიატოპოლკ-მირსკის მინისტრობა, პასუხად მიიღეს: „გთხოვთ გადასცეთ ბელსტოკის საზოგადო რაბინსა და ბელსტოკის ებრაელთ საზოგადოებას ჩემი მადლობა მათის ჩემდამო გამოთქმულის გრძნობისათვის. ვასრულებდი რა ნებასა ჩემის მონარქისასა, რომლისთვისაც ყველა ქვეშევრდომთა გაჭირვებანი ერთგვარად საზრუნია, მე გულდადებით შევისწავლე ებრაელთა მოსახლეობა და ვცდილობ მათ ხელის მომართვას.

პეტროპავლოვსკი. „ციმბირის უწყება“ ამბობს, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, ტომსკის სასტატო ინსტიტუტი ერთის წლით დაიხურაო.

ტოკიო. (რეიტერი). იამაგატამ ოიამას შემდეგ დეპეში გაუგზავნა: «ოქმი ომის გამოცხადებისა მიქადოს მთავრობისაგან, აგრეთვე მისი პროკლამაცია ერისადმი, რომელნიც დამყარებულია სამართლიანობის პრინციპზე, არ უჩვენებს რაიმე განსხვავებას ერთა, სარწმუნოებასა და ანუ საერო ჩვეულებათა შორის. ერთად-ერთი აზრი ამ ომისა ის არის, რომ იაპონია უზრუნველ ჰყოს მშვიდობიანობის მხრივ და გაავრცელოს განათლება ყველა ერთა საერთო სარგებლობისათვის; ამისათვის საფუძველი არის, იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი დამოკიდებულება აფიცრებთან და უცხოელ კორესპონდენტებთან, რომელნიც ჩვენს ლაშქარში არიან, არ ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და დამოკიდებულებაში იპოვის იგი განხორციელებასა. მინამ სამხედრო საიდუმლო არ დაარღვევენ, იმათ ერთობ წრფელის გულით უნდა ვექცეოდეთ, რათა მთელი ქვეყნიერება დარწმუნდეს იაპონიის მთავრობის გულწრფელობაში. ამისთანა დეპეშის გაგზავნა გამოიწვია იმ გაუგებრობამ, რომელიც მოხდა უცხოელ სამხედრო აგენტებსა, კორესპონდენტებსა და მოხელეთა შორის.

ბელგრადი. ხმაა, კაბინეტმა სამსახურს თავი დაანებაო. დარწმუნებით ამბობენ, რომ გვირგვინის კურთხევის შემდეგ გრუიჩი სამსახურს დაეთხოვება და ახალი კაბინეტი შესდგებაო. ეს აუცილებელიაო.

ფრიდრიხსრუე. 5 სეკდემბერი. დღეს თავადი ჰერბერტ ბისმარკი გარდაიცვალა.

კალუგა. აკურთხეს იმპერატორის ალექსანდრეს II-ს სახელობაზე აშენებული ახალი საქალაქო სასწავლებელი.

6 სეკდემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 5 სეკდემბერს პეტერგოფიდან წაბრძანდა ვორონეჟის გუბერნიაში, თავის მამულ რამონში.—5 სეკდემბერს პეტერგოფში პარადი იყო კავალერგრადის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის პოლკისა. პარადს დაესწრნენ ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

ბერლინი, 5 სეკდემბერი. იაპონიის ზღვის კაპიტანი ტაკიხავა, რომელმაც სკანდინავიის ნაპირები შემოიარა, თურმე ბერლინის იაპონიის მისიის საზღვაო აგენტი ყოფილა.

ლხასსა. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ინგლისის ჯარებმა დასცალეს ლხასსა.

მინსკი. საგუბერნიო ერობის კომიტეტმა თავის ხარჯით იტვირთა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა შენახვა, რჯულის მასწავლებელთა გარდა, რად-

განაც მღვდლები ისედაც ვალდებულნი არიან იზრუნონ თვის სამწყსოსა ზედაო.

ლიაოიანი, 1 სეკდემბერი. (რეიტერი). რამდენიმე ნაღმი იპოვეს რუსების საგერ-პოზიციებთან, რომლის აფეთქება რუსებს ვეღარ მოუსწვრიათ. რუსები მუკდენის სამხრეთად მოქმედებენ. იუწყებიან, რომ რამდენჯერმე მოხდა შეტაკებაო. იაპონელნი აკეთებენ რკინის გზის ხიდს თაიციხეზე და რამდენიმე სხვა ხიდს აკეთებენ.

ჩიფუ. (რეიტერი). მოსულნი ჩინელნი, რუსნი და იაპონელნი ერთხმად ირწმუნებიან, რომ ზღვიდან ალყამ სულ მოსპო ნავთა მიმოსვლაო. ბევრი ნავები ჩაღუპეს იაპონელებმაო. ხალხი კი დალნის მიიყვანესო. პორტ-არტურიდგან მოსულნი ამბობენ, ციხეში ხორცის კონსერვები ბლომად აქვთო, მაგრამ ახალი ხორცი მხოლოდ ცხენისა აქვთო. ყოველ დღე თორმეტი ცხენი იკვლის მეციხოვნეთათვისაო. როცა ყუმბარებს არ ესვრიან, ციხეში ჩვეულებრივი მყუდრო ცხოვრება მყარდება; ეკკლესიაში წირვა-ლოცვაა, თუმცა ტაძარი დაზიანებულია; დღეში ორჯელ მუსიკა უკრავს. რუსები ირწმუნებიან, რომ დღემდე იაპონელებს არც ერთი შიგნითი საგერი სიმაგრე არ აუღიათო. ის ზიანი რაც ყუმბარებმა მიაყენა, ამ 18 დღეს, შედარებით, მოსვენებული ცხოვრების გამო, აღადგინეს. რუსები დარწმუნებულნი არიან პორტ-არტურს თავის დღეში ვერ აიღებენო.

მუკდენი. (რეიტერი). ელოდებიან ამ მოკლეს დროში დიდს ამბებსა. იუწყებიან, რომ იაპონელნი აღმოსავლეთისაკენ მიიწევენო. ჯარებმა ხელთ მოიგდეს ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ.

ტოკიო. (რეიტერი) ოიამა იუწყება, რუსის ცხენოსნები საზვერავად დადიან სამხრეთად. რუსებს უჭირავთ ადგილები იანტაიდან 19 კილომეტრზე. რუსის კავალერიამ ზამთრის ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

ტოკიო. (რეიტერი). სათადარიგო ჯარებს, გამოწვეულს ბრძოლისათვის, ასწავლიან უბრალო ჯარის კაცი, რადგან აფიცრები და უნტერ-აფიცრები და უნტერ-აფიცრები საკმაოდ არა ჰყავთ. ის იაპონელნი, რომელნიც სათადარიგოდ ითვლებიან და უცხოეთში ცხოვრობენ, დაიბარეს იაპონიაში. მეოთხე ხარისხის სათადარიგო ჯარი 60 ათასამდეა, აქედან შეადგენენ ორს ახალ დივიზიას რეგულიარულის ჯარისას. ამასწინად პორტ-არტურიდან ორი დივიზია გაიგზავნა ლიაოიანს ოიამას ლაშქრის გასაძლიერებლად.

ტოკიო. (რეიტერი). დიდი ბრძოლა რუსებთან მუკდენს ახლო მოხდება. იაპონელნი მძლავრად ესვრიან ყუმბარებს რუსების პოზიციებს და წინ სწევენ ქვეითა ჯარსა. ამბობენ, ეს ბრძოლა იქნება ძრიელ სისხლის მღვრელი არ იყოს, მაგრამ ბრძოლის ბედის და უბედობის გადამწყვეტი კი იქმნებაო, ოიამა ემზადება შეასრულოს ინსტრუქცია, რომელიც იმას უმთავრესმა შტაბმა მისცა და უბრძანა იერიში მიიტანოს მუკდენზე და ეცადოს გაშალოს ჯარი გარს შემოსავლელად, რათა რუსებს უკან დახევის გზა გადუჭრან. იაპონიის ავანპოსტებმა გენერალ მიშჩენკოს ჯარებთან იწყეს ბრძოლა, ამან მუკდენისაკენ დაიწია, ასი კაცი დაუკრეს. იაპონიის ფრონტი გაჭიმულია 25 მილზე: კუროკი მარჯვენა ფლანგზეა, ოქუს ლაშქარი შუბლშია, ნოძუ მარცხნივ. კუროკი ჯერ კიდევ ვერ დაიწყობს ბრძოლას, რადგან მინდობილი აქვს რუსის მარცხენა ფრთას გარს შემოუაროს. საზოგადო მდგომარეობა მიახლოვებით იგივეა, რაც იყო ლიაოიანთან ბრძოლის დაწყების დროსა, მაგრამ მუკდენის სიმაგრენი ისეთი ვერ არის, როგორც ლიაოიანის. კუროპატკინს ხარბინიდან მოსდის ჯარები. ეს იმის მომასწავებელია, რომ მედგრად უნდათ მუკდენის დაცვა.

ტოკიო. (რეიტერი). ოქუ იუწყება, რომ იმან ლიაოიანთან ტყვედ წაიყვანა 13 რუსი და დავლად აიღო შემდეგი სურსათი: 30 ცხენი, 2288 თოფი, 127 ურემი ბარგით, 5892 ყუმბარა, 659,930 ტყვია, დიდძალი ხე-ტყე და საშენი მასალა, ფქვილი, ბრინჯი, საკვები ცხენებისა, იარაღი, ტანთსაცმელი და სხვა და სხვა სამკაული; კუროკსა და ნოძუს ტყვედ არავინ წაუყვანიათ; კუროკის დავლად დარჩა 40 ცხენი, ურმები ბარგით, 80 თოფი, 300 ყუმბარა, 600 ათასი ტყვია, ტელეგრაფი და სხვა და სხვა იარაღი; ნოძუს დავლად აუღია 490 თოფი, 1164 ყუმბარა, 37,780 ტყვია, სამი გელიოგრაფი, ტელეფონი, იარაღები და დიდძალი ხე-ტყე და საშენი მასალა. იმდენი ხე-ტყე დარჩენია ოქუს, რომ ჰფიქრობს საწყობი გააკეთოს.

ლონდონი. (რეიტერი). «ტაიმსის» კორესპონდენტი იუწყება, ტოკიოში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კუროკის ლიაოიანში 8 ზარბაზანი დარჩა დავლად; იმანვე დაინარჩუნა 3 ათასი ყუმბარა და სარკინისგზო მასალა, ხოლო ნოძუმ დაინარჩუნა 37,880 ტყვია და 660 ხრმალი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

3 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,47½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	92 ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	88¾ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ.-ბილ. 1864 წ.	388 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	305 ნ. გაყ
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	256¾ წვ. გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	89 ნ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87 ნ. გაყ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6—12)

ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ დაიკარგა პაიები ამ ამხანაგობისა, შემდეგი №№: 403, 439, 440, 460, 457, 417, 468, 452, 459, 407, 410, 451, 450, 449, 447, 448, 458, 454, 456, 423, 418, 421, 437, 432, 431, 430, 425, 424, 469, 473, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 455, 452, 419, 404, 405 და 475.

მნახველთ ვთხოვთ წარმოადგინონ პაიები ათის დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პაიები გაბათილებული იქნება.
(3—3)

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

ПАРФЮМЕРІЯ
„ЦАРСКІЙ ВЕРЕСКЪ“
ДУХИ, МЫЛО
И ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЬ
Т^ва А. РАЛЛЕ и К^о

Б. М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა


Б. М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

ტფილ. გამოფენა.



ქარხანა
ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)
ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გაღესილს საღებავებს (краски). გპირდებით ყველას ჩემ ნაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50%-ების მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ალაღო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—19)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.
კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა
მოსამზადებელის კლასითა და პანსიონით.

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.
კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს.

1860
ТРЕУГОЛЬНИКЪ
С.-ПЕТЕРБУРГЪ

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნიეშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტფილისს და ტაშკენტში.
(60—46).

Дозволено цензурою Тифлисъ 6 сентября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи